საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭოს
2011 წლის 23 მარტის
დადგენილება № 417

რუსულ-ქართულ ენებზე შევსებული
გაუცემელი დიპლომის ფორმების
შესაბამისი ფორმის დიპლომებით
შეცვლის შესახებ

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო ადგენს:

1. სტუ-ს დიპლომების სექტორში არსებული, რუსულ-ქართულ ენებზე შევსებული გაუცემელი დიპლომები, რომლებიც არასრულადაა შევსებული, შეიცვალოს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2009 წლის 24 მარტის №162 ბრძანებით დამტკიცებული შესაბამისი ფორმის დიპლომებით, შეივსოს და გაიცეს კურსდამთავრებულებზე მათი მოთხოვნის მიხედვით.
2. დადგენილების პირველ პუნქტში მითითებული რუსულ-ქართულ ენებზე შევსებული გაუცემელი დიპლომები ჩამოიწეროს და განადგურდეს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.
3. დადგენილებით განსაზღვრული წესით დიპლომების შეცვლა უზრუნველყოს დიპლომების სექტორმა (რ. მგალობლიშვილი).

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე ა. ფრანგიშვილი

აკადემიური საბჭოს მდივანი გ. სალუქვაძე